საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მესხი ნესტან (ნუგეშა) აპოლონის ასული

მესხი ნესტან (ნუგეშა) აპოლონის ასული (დ. 16. XI, 1938, ქუთაისი), პიანისტი, პედაგოგი, საქართვ. დამს. არტისტი (1970). 1957 დაამთავრა ქუთაისის მუს. სასწავლებელი, 1962 – თბილ. სახელმწ. კონსერვატორი-ის საფორტეპიანო განყ-ბა (პედ. ა. ვირსალაძე). 1965-იდან მუშაობდა იქვე პედაგოგად (2003-იდან ასოცირებული პროფესორი), 2013 საქართვ. რადიომაუწყებლობაში მიჰყავდა თავისივე დაარსებული გადაცემა „კლასიკის საათი“. ავტორია სამეცნ. ნაშრომების, პუბლიკაციების: „პიანისტის მუშაობა ტექნიკურ სირთულეებზე (ორმაგი ნოტები)“, „ირმა გიგანი მსოფლიოს თითებით იპყრობს“, ,,სინათლე“ (რ. ლაღიძე – 95), „ოდნავ ნაკლები მოკრძალება“ (პიანისტ ც. კვერნაძის შემოქმედებითი ცხოვრება) და სხვ. მ-ის გადაცემები, პუბლიკაციები გამოირჩევა საკითხების ღრმა წვდომით, პრობლემატიკის საინტერესოდ და მრავალმხრივად წარმოჩენით. მ-მა პირველმა შეასრულა მ. დავითაშვილის საფორტეპიანო ფანტაზია, რ. ქარუხნიშვილის „ზღაპარი“ ფორტეპიანოსა და სიმფ. ორკესტრისათვის, „საცეკვაო იმპროვიზაცია“, ქ. თუმანიშვილის სავიოლინო სონატა, ს. ნასიძის „პოლიფონიური სონატა“, ე. ჯაბადარის საფორტეპიანო კონცერტი №2, ა. ბალანჩივაძის, ბ. კვერნაძის, რ. ლაღიძის, ა. მაჭავარიანის საფორტეპიანო პიესები (ყველა პირვ. შესრულება) და სხვა ნაწარმოებები. მ-მა, როგორც პირველმა ინტერპრეტატორმა, წვლილი შეიტანა არაერთი ქართ. ნაწარმოების საკონცერტო ესტრადაზე დამკვიდრებაში.